ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01171791553**

თარიღი: **28.06.2017**

ადრესატი:
რამინი გალიევი
პირადი ნომერი: 31001010437
მისამართი: მცხეთა ს. წოდორეთი

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით შეისწავლა თქვენი 2017 წლის 20 ივნისის (#19/011717132l9-18) განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ, დვალის ქ. #11-ის მიმდებარედ ს/კ #01.19.39.014.018) მშენებლობის განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვას,

სამსახურმა იხელმძღვანელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის, 26-ე მუხლის, I პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა (რომელშიც ცვლილება შევიდა 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილების საფუძველზე) და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის (#02-25/171-02 20.06.17) საფუძველზე მიზანშეწონილად მიაჩნია გაიცეს ნებართვა 1 ძირი ზეხმელი ელდარის ფიჭვის ხის მოჭრის თაობაზე მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირის მიერ, მითითებული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი იქნება საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული უნდა იქნას შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება, როგორც ამას ითვალისწინებს ამ წესის 26^1 მუხლი.

დამატებით გაცნობებთ, რომ მოჭრილი მწვანე ნარგავის სანაცვლოდ საკომპენსაციო რგვის განხორციელება დაგევალებათ (1 ძირი წიწვოვანი) თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ, დვალის ქ. #11-ის მიმდებარედ ს/კ #01.19.39.014.018) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით (საკ/ტელ 591704832).

ასევე გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების (5 ძირი) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი